ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

,,ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის ობიექტი:

ქ.თბილისში, მუხიანის IVბ მიკრორაიონში, ნაკვეთი 08/017 ,შპს „პრომეთე“-ს სკოლის რეკონსტრუქციის პროექტი (ა ბლოკი)

დამკვეთი:

შპს „მუხიანი პრომეთე“

პროექტის ავტორი

კახა მურცხვალაძე

ექსპერტი:

მაგდა მეშვილდიშვილი

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:

14.09.2022

თ ბ ი ლ ი ს ი

2022 წ.

14.09.2022 მაგდა მეშვილდიშვილი

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. სარეკონსტრუქციო შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
7. სარეკონსტრუქციო შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
8. სარეკონსტრუქციო შენობის ჭრილები (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
9. გზა-კიბის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
10. გარე კედლების დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
11. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი).

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასებ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება----------6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება----------8

შიგა გარემოს შეფასება ----------9

გარე კედლების შეფასება ----------10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება---------- 12

ლიფტების შეფასება---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქ.თბილისში, მუხიანის IVბ მიკრორაიონში, ნაკვეთი 08/017 და წარმოადგენს სკოლას. შენობა შედგება ოთხი მიწისზედა სართულისაგან. არსებული შენობა მზიდკედლებიანი ტიპისაა, ღრუტანიანი ბეტონის ფილების სართულშუა გადახურვით. მიშენებული ნაწილის მზიდი კონსტრუქციაა მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, ხოლო სართულშუა გადახურვა - მონოლითური რკინაბეტონის ფილა. შენობაში არაა გათვალისწინებული ლიფტი.

სარეკონსტრუქციო შენობას საზოგადოებრივი საზღვარი გააჩნია სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

რეკონსტრუქციით იგეგმება შენობის ა ბლოკის 12-1 ფასადზე 4 სართულის მიშენება.

ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა აშენებული და ექსპლუატაციაში მიღებულია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

14.09.2022 მაგდა მეშვილდიშვილი

მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ამოქმედებამდე, იგი ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს, თუმცა იგი შესაბამისობაშია „წესების“ 21-ე ქვეთავის მოთხოვნებთან, რომელიც არსებული შენობების რეკონსტრუქციას არეგულირებს.

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**

- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**

- **საგანმანათლებლო ჯგუფი სგ** (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა და წიგნსაცავი - ±0.00 - +10.50 ნიშნულებზე) - შეესაბამება 305 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, გამოყენებული ექვსი ან მეტი ადამიანის განათლების მიზნით, 12 კლასის ჩათვლით.

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (ადმინისტრაცია ±0.00 - +10.50 ნიშნულებზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (დამხმარე სათავსი -0.80 ნიშნულზე). ამ ჯგუფს განეკუთვნება დამხმარე დანიშნულების შენობები და ნაგებობები, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს).

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

  - საკლასო ოთახებისათვის ----------1.9 სუფთა;
  - ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზისათვის ----------4.7 სუფთა;
  - წიგნსაცავისათვის----------9.3 მთლიანი;
  - ადმინისტრაციისათვის ----------9.3 მთლიანი;
  - დამხმარე სათავსისებთვის ----------27.9 მთლიანი.

- **ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.**

შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- სარეკონსტრუქციო შენობის მიწის დონის ზედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე. მიწის დონე საკონტროლო სიბრტყეა, რომელიც შენობის გარე კედლების გასწვრივ არსებული მიწის დონეების საშუალო დონეა.
- სარეკონსტრუქციო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 16.40 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 4 (ოთხი) სართული.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- I სართული ---------- ჯგუფი სგ (477.3 მ²); ჯგუფი სქ (130.7 მ²) და ჯგუფი დს (15.9 მ²);

- II სართული ----------ჯგუფი სგ (584.8 მ²) და ჯგუფი სქ (101.6 მ²)

- III სართული ----------ჯგუფი სგ (632.7 მ²) და ჯგუფი სქ (52.1) მ²

- IV სართული ----------ჯგუფი სგ (556.7 მ²) და ჯგუფი სქ (130.2) მ²

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. I-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არამზიდი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არამზიდი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721 ქვეთავის მიხედვით.

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------2სთ.

გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.

იატაკის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები ----------2სთ.

სახურავის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები ----------1 სთ.

14.09.2022 მაგდა მეშვილდიშვილი

- რაც შეეხება შენობის მიშენებული ნაწილის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- 705.8.5 ქვეთავის მიხედვით, გარე კედლის ღიობები უნდა გაიმიჯნოს შვეულად მინ. 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ანაწყობით. იმის გათვალისწინებით, რომ სარეკონსტრუქციო შენობის გარე კედლები მზიდი ტიპისაა, შესაბამისად, 601 ცხრილის მიხედვით, გააჩნია მინ. 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე 0.8 მეტრია და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.
- აღსანიშნავია, რომ სადაც გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.
- დერეფნების ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- 602.1 ქვეთავის მიხედვით, სადაც ცეცხლმედეგობა 601-ე ცხრილის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ელემენტების ღიობების დაცვა აუცილებელი არ არის.
- შენობას ყველა მხრიდან გააჩნია სახანძრო მანქანის მისადგომი.
- ლიფტი აღჭურვილია დაწნევის სისტემით, 909.21 ქვეთავის შესაბამისად.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

- **ავტოსაშხეფი სისტემა:**

- 903 ქვეთავის შესაბამისად, ავტოსაშხეფები სავალდებულოა ახალ შენობა-ნაგებობებში. გარდა ამისა, 903.2.3 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემა სგ ჯგუფის დაკავებულობებში უნდა დააყენონ:
- 1. სგ ჯგუფის 1200 მ 2-ზე მეტი ფართობის მქონე ხანძრისგან დაცულ მთლიან ფართობზე;
- 2. საგანმანათლებლო დანიშნულების შენობების ყველა ნაწილში, რომლებიც შენობის ამ ნაწილის მომსახურე შენობიდან გამოსასვლელის ყველაზე დაბალი დონის ქვემოთაა.

შესაბამისად, ავტოსაშხეფების დაყენება სარეკონსტრუქციო შენობაში სავალდებულო არაა.

- **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- 907.2.3 ქვეთავის შესაბამისად, სგ ჯგუფის დაკავებულობები აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით.
- 907.2.2 ქვეთავის შესაბამისად, სქ ჯგუფის დაკავებულობების აღჭურვილა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით სავალდებულო არაა.
- შენობის ყველა სართული აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით.
- შენობის ეზოში განთავსებულია 912 ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.

- **ხელის ცეცხლმაქრები:**
- სგ და სქ დაკავებულობები აღჭურვილია ხელის ცეცხლმაქრებით.

გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- 2108.3 ქვეთავის მიხედვით, არსებული გზა-კიბეების შესაბამისობა 1009-ე ქვეთავთან აუცილებელი არ არის, თუ არსებული სივრცე და კონსტრუქცია დახრილობის ან ქანობის შემცირების საშუალებას არ იძლევა.
- 1005.3.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეების კომპონენტების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 7.6 მმ-ია.
- 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, სხვა გასასვლელი საშუალებების (გზა-კარისა და დერეფნის) კომპონენტების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5.1 მმ-ია.
- გასასვლელი საშუალებები ისეთი კონფიგურაციისაა, რომ ნებისმიერი ერთი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გაუქმება ხელმისაწვდომ გამტარუნარიანობას აუცილებელი გამტარუნარიანობის 50%-ზე ნაკლებად არ ამცირებს, რაც აკმაყოფილებს 1005.5 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელის კარებ იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში, სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

მისაწვდომობის შეფასება:

- 2111.6 ქვეთავის შესაბამისად, გადაკეთებული ნაგებობა მე-11 თავს უნდა შეესაბამებოდეს, თუ ტექნიკურად შესაძლებელია. თუ ამ ქვეთავთან შესაბამისობა ტექნიკურად შეუძლებელია, გადაკეთებისას მისაწვდომობა, ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.
- მე-10 თავში მოთხოვნილი მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები არსებულ შენობებსა და ნაგებობებში აუცილებელი არ არის, თუმცა არსებული გასასვლელის გზა-კიბეები, თავისი მახასიათებლებით, შეიძლება მისაწვდომ გასასვლელ საშუალებად ჩაითვალოს.
- 2111.4.2 ქვეთავის მიხედვით, სარეკონსტრუქციო შენობას უნდა ჰქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მისაწვდომი საშუალება:

  1. შენობაში შესასვლელებიდან, სულ მცირე, ერთი მისაწვდომი უნდა იყოს;

  2. შენობის მისაწვდომი შესასვლელიდან ძირითადი ფუნქციით გამოყენებული ფართობებისკენ უნდა მიდიოდეს, სულ მცირე, ერთი მისაწვდომი სვლაგეზი;

  3. 1110-ე ქვეთავის შესაბამისი ნიშანთა სისტემა;

  4. ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის მისაწვდომი უნდა იყოს;

  5. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე, სულ მცირე, ერთი ზონა მისაწვდომი უნდა იყოს;
  6. სულ მცირე, ერთი მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც მისაწვდომ ავტოსადგომსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების მისაწვდომ ზონასა და მისაწვდომ შესასვლელს აკავშირებს. ყველა აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია.
- სგ და სქ ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- სარეკონსტრუქციო შენობას ემსახურება შეზღუდული გამოყენების ლიფტი.

შიგა გარემოს შეფასება:

- სგ და სქ დაკავებულობების შემცველი ფართები ნიავდება მექანიკურად და ბუნებრივად. გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს; რაც შეეხება სავაჭრო და საოფისე სივრცეების მომსახურე ტუალეტის ოთახებს, იგი ნიავდება მექანიკურად. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 1203 ქვეთავთან.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- სგ და სქ დაკავებულობების შემცველი ფართები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, რაც შეესაბამება 1205.1 ქვეთავს. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში.
- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.

გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონებში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებული, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას.

სახურავის ანაწყობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურული პროექტის აე-501 ფურცელზე, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს მინ. 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

წყალსადენის სისტემის შეფასება:

- თითოეული დაკავებულობა უზრუნველყოფილია 1602 ქვეთავში მოთხოვნილი წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობით.
- ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2 პუნქტის მოთხოვნებთან.
- ტუალეტებთან უზრუნველყოფილია 1602.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი მისადგომი სვლაგეზი, რომელიც არ გადის სამზარეულოების, სათავსი ოთახების ან საკუჭნაოების გავლით. სვლაგეზი წესების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომლებიც მისაწვდომობასთანაა დაკავშირებული. შენობის დაკავების პერიოდში ადამიანებს ტუალეტებთან მისვლა ყოველთვის

შეუძლიათ.

ლიფტის შეფასება:

- 1701.5 ქვეთავის მიხევით, საპროექტო შენობაში ლიფტის დაყენება სავალდებულო არაა, თუმცა პროექტით მაინც გათვალისწინებულია. შესაბამისად, არაა აუცილებელი, საპროექტო ლიფტი 1704.2 ქვეთავის მოთხოვნას აკმაყოფილებდეს.
- ლიფტის შახტი შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ლიფტს არ ესაჭიროება ფოიე 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის მიხედვით.

დასკვნა:

ქ.თბილისში, მუხიანის IVბ მიკრორაიონში, ნაკვეთი 08/017 ,შპს „პრომეთე“-ს სკოლის რეკონსტრუქციის პროექტი (ა ბლოკი) არ გამოიწვევს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდას. რეკონსტრუქციის პროექტით, ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში, არსებული შეუსაბამობა მინიმუმამდეა დაყვანილი.
დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. ამრიგად, საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

არქიტექტორი: კახა მურცხვალაძე

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი

14.09.2022 მაგდა მეშვილდიშვილი

„ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის № 732 დადგენილების მოთხოვნებთან
შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, მუხიანის IVბ მიკრორაიონი, ნაკვეთი 08/017

ობიექტის დანიშნულება: სკოლა (რეკონსტრუქცია)

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად გადმოცემულია შემდეგი მასალები:

1. ინფორმაცია საპროექტო ობიექტის თაობაზე;
2. გენგეგმა მ 1:500;
3. გეგმები, ჭრილები, ფასადები მ 1:100;
4. აქსონომეტიული ხედები და ფოტომონტაჟი.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე
პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალები სრულიად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

- ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების 102.2 ქვეთავის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მე-10 თავების შესაბამის დებულებებს უნდა აკმაყოფილებდეს ის ადგილები, საშუალებები, შენობები და ელემენტები, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ შესაბამისად;
- ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების 1103.2.3 1007.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის შესაბამისად, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები არ მოითხოვება არსებული შენობების გადაკეთებისას;
- ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების 2111.6 ქვეთავის შესაბამისად, გადაკეთებული ნაგებობა მე-11 თავს უნდა შეესაბამებოდეს, თუ ტექნიკურად შესაძლებელია. თუ ამ ქვეთავთან შესაბამისობა ტექნიკურად შეუძლებელია, გადაკეთებისას მისაწვდომობა, ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **პანდუსი, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი პანდუსის გრძივი ქანობი არ აღემატება 1:12-ს, 405.2 ქვეთავის შესაბამისად;
- მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი გარე პანდუსის განივი ქანობია მაქს. 1:48, 405.3 ქვეთავის შესაბამისად;
- პანდუსის ზედაპირები არის მყარი და არასრიალა, 3022 და 405.4 ქვეთავვების შესაბამისად;
- პანდუსის სვლის ამაღლება არ აღემატება 750 მმ-ს, 405.6 ქვეთავის შესაბამისად;
- პანდუსის თავსა და ბოლოში მოწყობილია ბაქნები, 405.7 ქვეთავის შესაბამისად;
- ბაქნების განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, 405.7.1 ქვეთავის შესაბამისად;
- ბაქნების თავისუფალი სიგანე ტოლია მისკენ მიმავალი პანდუსის სიგანისა, 405.7.2 ქვეთავის შესაბამისად;
- ბაქნების თავისუფალი სიგრძეა 1500 მმ, 405.7.3 ქვეთავის შესაბამისად;
- სადაც გზა-კარი პანდუსის ბაქნების მომიჯნავედ მდებარეობს, მანევრირებისათვის საჭირო თავისუფალი სივრცე გადადის ბაქნის ფართობზე, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 405.7.5 ქვეთავის შესაბამისად.
- ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული პანდუსის ამაღლება აღემატება 150მმ-ს, 405.8 ქვეთავის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელურები.
- პანდუსსა და ბაქნებზე გათვალისწინებულია ორივე კიდის დამცავები 405.9 ქვეთავის მიხედვით.

3. **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

4. **ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 407 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ლიფტის კაბინის გაბარიტები შეესაბამება 407.4.1 ცხრილის მოთხოვნებს. კაბინის თავისუფალი სიგანე და სიღრმე კედლიდან კედლამდე შეადგენს 1500 მმ-ს, ხოლო კარის ღიობის თავისუფალი სიგანე - 900 მმ-ს.
- ლიფტის კარები თარაზულად მოსრიალეა 407.3.1 ქვეთავის შესაბამისად.
- ლიფტის გამოსაძახებელი ღილაკები და კლავიშები შეესაბამება 407.2.1 ქვეთავს.

5. **საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის 41 -ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაევდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

- კიბის მარშის ყველა საფეხურს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები აქვს და მისი ზომები აკმაყოფილებს 504.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საფეხურების ღია შუბლები არაა გათვალისინებული, როგორც ამას 504.3 ქვეთავი მოითხოვს;
- საფეხურის საბიჯელები და განივი ქანობი შეესაბამება 405.4 და 302 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საფეხურის ნაშვერები აკმაყოფილებს 504.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
- კიბეს სახელურები ორივე მხარეს უწყვეტად მიუყვება 505.3 ქვეთავის შესაბამისად;
- სახელურები ორივე ბაქანთან გრძელდება თარაზულად 300 მმ-ით, 505.10.2 ქვეთავის შესაბამისად;
- კიბის მარშის ძირთან სახელურები გრძელდება დახრილად ბოლო საფეხურის წინაპირიდან ერთი საბიჯელის ტოლ მანძილზე 505.10.3 ქვეთავის შესაბამისად;
- კიბის სახელურების ხელმოსაჭიდი ზედაპირები კიბის წინაპირებდან 900 მმ-ია, რაც შესაბამისობაშია 505.4 ქვეთავის მოთხოვნებთან;
- ხელმოსაჭიდ ზედაპირებსა და მომიჯნავე ზედაპირებს შორის მანძილი 40 მმ-ია, 505.5 ქვეთავის შესაბამისად;
- სახელურების განივკვეთი წრიულია და 30 მმ-ს შეადგენს, 505.7.1 ქვეთავის შესაბამისად;
- სახელურები არ შეიცავს ბასრ და უხეშ ელემენტებს, 505.8 ქვეთავის შესაბამისად;
- სახელურები არ ტრიალებს ბუდეში, 505.9 ქვეთავის შესაბამისად;
- ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

- **სარეკონსტრუქციო შენობაში განთავსებული ტუალეტი შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ტუალეტის ოთახში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახის კარის გაღებისას, იგი არ იჭრება მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

- **2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია არაუმცირეს 400 და არაუმეტეს 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

<u>შეფასება:</u>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ქ.თბილისში, მუხიანის IVბ მიკრორაიონში, ნაკვეთი 08/017 სკოლის რეკონსტრუქციის პროექტი, ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების მოთხოვნებთან.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი 

თარიღი: 14/09/2022

ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Magda Meshvildishvili

Keti Khutsishvili
Executive Director

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2019 – 030

გადაეცემა

მაგდა მეშვილდიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0071950 ❋

This is to certify that Mr/Ms MAGDA MESHVILDISHVILI

in 2003 completed a full academic course of the

TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

majoring in

ARCHITECTURE

By resolution of the State Examination Board, dated JULY, 9 2003 Mr/Ms M.MESHVILDISHVILI is conferred the present DIPLOMA and the qualification of

AN ARCHITECT - ARTIST

Rector

Seal of Office

Chairman of the State Examination Board

Dean

City of TBILISI 2004

Registration № 7052

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0071950 ❋

მიენიჭა

მასზედ, რომ მან 2003 წელს დაამთავრა

სრული კურსი

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის „9“ ივლისის

გადაწყვეტილებით მიენიჭა

კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი 2004 წ.

სარეგისტრაციო № 7052

მდივანი

მაგდა მეშვილდიშვილი

მობილური: 555388773

ელ.ფოსტა: magdameshvildishvili@gmail.com

დაბ.თარიღი: 11.07.1980

განათლება

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, 1997-2003 არქიტექტორი, მაგისტრთან გათანაბრებული

სამუშაო გამოცდილება

2014 – დღემდე	შპს “ემ-პროჯექტ”; მთავარი არქიტექტორი
2006 – დღემდე	შპს “თამარინა” ; არქიტექტორი
2018-2019	შპს “იბერია ალიანსი”; არქიტექტორი
2013-2017	შპს”ესთეთიკა გრუპ”; არქიტექტორი

პროექტები

- ქ.თბილისში, ტაბახმელა, სოფ.წავკისში, ს/კ 81.02.21.486 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, 2022; **ბრძანების № 6071251**
- ქ. თბილისში, მირიან მეფის ქ№46-ში, ს/კ 01.72.14.036.445 მრავალფუნქციური კომპლექსის რეკონსტრუქციის პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე”საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და “მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან” შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2022; **ბრძანების № 6085205**
- ქ.თბილისში, სოფ.დიდ ლილოში, ს/კ 81.08.17.729 საწყობების პროექტის “მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან” შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; II კლასი, 2022; **ბრძანების № 5956587**
- ქ.თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი №6-ის მიმდებარედ, ს/კ 01.11.13.002.448 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე”საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2022; **ბრძანების № 5951334**

- ქ.თბილისში, სოფ.წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქ№22, 24, 26, 28, 28ა –ში (ს/კ 81.02.21.486; 81.02.21.031; 81.02.21.487; 81.02.21.341; 81.02.21.340; 81.02.21.342) განაშენიანების რეგულირების გეგმა; 2022; **ბრძანების №16-0122131701**
- ქ. თბილისში, სოფ.შინდისში, დანიელ ჭონქაძის I ჩიხი №17-ში ს/კ 81.02.09.961 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი; II კლასი, 2022; **ბრძანების №5867975**
- ქ.თბილისში, დაბა კოჯორში, ვაშლოვანის ქ№7-ში, ს/კ 81.01.00.854 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2022; **ბრძანების №5803672**
- ქ.თბილისში, სართანიას ქ№17-ში, ს/კ 01.12.13.073.030 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2022; **ბრძანების №5924137**
- ქ.ბორჯომში, რუსთაველის ქ№101-ში, ს/კ 64.23.07.116 სასტუმროს პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2022;
- ქ. თბილისში, სულხან ნასიძის ქ№32-ში, ს/კ 01.10.17.039.012 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021; **ბრძანების № 5733345**
- ქ.თბილისში, ჯ.შარტავას ქ№51-ში, ს/კ 01.10.13.004.083 ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა, III კლასი, 2021; **ბრძანების № 5709992**
- მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ლისში, ს/კ 72.16.24.261 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა, III კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ№48-ში; ს/კ 01.17.11.027.065; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი; 2021; **ბრძანების № 5750497**
- ქ.თბილისში, რევაზ ურიდიას ქ№205-ში, ს/კ 01.12.20.011.061 კაფე-ბარის პროექტის "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; II კლასი, 2021;
- მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლისში, ს/კ 72.16.25.078 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, 2021;

- ქ.თბილისში, ციხისძირის II ჩიხი №6-ში, ს/კ 01.17.12.036.076 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტი, II კლასი, 2021; **ბრძანების № 5616158**
- ქ.თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქ№8ბ-ში, ს/კ 01.19.19.005.055 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2021; **ბრძანების № 5783174**
- ქ.თბილისში, სოფელ ზურგოვანში, ს/კ 01.72.14.005.334 დახურული საჩოგბურთო კორტებისა და სპორტკომპლექსის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, ლუბლიანას ქ№13დ, ს/კ 01.13.02.009.044 "თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯის" რეკონსტრუქციის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2021; **ბრძანების № 5798362**
- ქ.თბილისში, კოსმონავტების სანაპირო №45ა, ს/კ 01.13.05.004.256 მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2021; **ბრძანების № 5798395**
- ქ.მცხეთაში, სოფელ ძეგვში, ს/კ 72.11.02.123 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა, III კლასი, 2021;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, სასტუმროს ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, სოფ.დიღომში, ფელიქს ჰოლდაკის ქ№9ა-ში ს/კ 01.72.14.031.088 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა, III კლასი, 2021; **ბრძანების № 5618823**
- ქ.თბილისში, დაბა კოჯორში, ვასო აბაშიძის ქ№2-ში, ს/კ 81.01.05.679 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, 2021; **ბრძანების № 5399165**
- ქ.თბილისში, მ.მამარდაშვილის ქ№31ა-ში, ს/კ 01.16.04.025.001 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, 2021; **ბრძანების № 5526230**

- ქ.თბილისში, გარეჯის ქ№37-ში, ს/კ 81.21.06.243 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021; **ბრძანების № 5523642**
- ქ.თბილისში, ა.წერეთლის გამზირი №110, ს/კ 01.13.05.005.004.01.508 აფთიაქის"მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; 2021;
- ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქ№82-ში, ს/კ 33.09.33.542 იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი; 2021;
- ჰალოკამერის ინტერიერის დიზაინი და ტექნოლოგიური პროექტი „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში" ქ. თბილისში, გორგასლის ქ №9, 2021;
- ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №112-ის მიმდებარედ, ს/კ 01.19.13.002.041 მაღაზიის პროექტის "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; II კლასი; 2021;
- ქ.თბილისში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №137, ს/კ 01.13.07.022.017.01.516 სს"საქართველოს ბანკის" ოფისის პროექტის "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; 2021;
- ქ.თბილისში, მამარდაშვილის ქ№33, ს/კ 01.16.04.025.016 მარანი, II კლასი, 2021; **ბრძანების № 5223688**
- ქ.თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, ს/კ 81.21.12.109 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი; 2021; **ბრძანების №5624429**
- ქ.თბილისში, ლისის ტბისკენ მიმავალ გზასა და ვაშლიჯვარს შორის, უბანი I, ს/კ 01.10.18.009.028 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021; **ბრძანების № 5327982**
- ქ.თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №89/24, ს/კ 01.13.08.006.088 სს"საქართველოს ბანკის" ექსპრეს ოფისის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; 2021;
- ქ.თბილისში, ზემო ვეძისის ქ№6ბ, ს/კ 01.10.12.007.086 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2020;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სილიკომანგანუმის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; V კლასი; 2020;

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ.ნახშირღელეში ავტოგასამართი სადგურის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ცინცაძის ქ№13, ს/კ 01.12.13.019.038; III კლასი, 2021; **ბრძანების № 5477093**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ.ნატახტარში, ს/კ 72.03.24.357; II კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ხეოშვილის ქ№9, ს/კ 01.72.14.011.640; III კლასი; 2020; **ბრძანების № 5150257**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. შინდისში, ს/კ 81.02.09.868 II კლასი, 2020; **ბრძანების № 5084666**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. შინდისში, ს/კ 81.02.09.868 II კლასი, 2020; **ბრძანების № 5084621**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ.შინდისში, ს/კ 81.02.35.024 II კლასი, 2020; **ბრძანების № 5212222**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ურიდიას ქ№18, ს/კ 01.12.13.091.011; II კლასი; 2020; **ბრძანების № 5080114**
- ქ.თბილისში, ზუბალაშვილების ქ№53 ს/კ 01.15.05.005.042 მდებარე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2020;
- ქ.თბილისში, სათემოს ქ№53 ს/კ 01.17.02.044.013 მდებარე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2020;
- განაშენიანების დეტალური გეგმა (№18 თემატურ არეალში) დაბა ბაკურიანში; 2020;
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში აჰმედ ჯავადის ქუჩაზე, ს/კ 01.17.14.003.124; III კლასი, 2020; **ბრძანების № 4873543**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ.ზემო ლისში, ს/კ 72.16.16.763; არქიტექტურული პროექტი და ინტერიერის დიზაინი, II კლასი; 2019; **ბრძანების № ს-54**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, ვარდისუბნის ქ№42, ს/კ 72.13.12.503; II კლასი, 2019; **ბრძანების № 4687783**
- აფთიაქი ქ.თბილისში, ჭელიძის ქ№7, ინტერიერის დიზაინი; 2019
- თემატური გეგმა (№18) დაბა ბაკურიანში; 2019;
- ესთეტიკის ცენტრი ქ.თბილისში, მირიან მეფის ქ№42, ინტერიერის დიზაინი და ტექნოლოგიური პროექტი; 2019
- ქ.თბილისში, სოფ.თხინვალაში, ს/კ 72.16.22.193, 72.16.15.762, 72.16.15.763, 72.16.15.764, 72.16.15.765, 72.16.15.766, 72.16.15.767, 72.16.15.768, 72.16.15.769, 72.16.15.770, 72.16.22.245, 72.16.22.246, 72.16.22.813, 72.16.22.814, 72.16.22.288, 72.16.22.721, 72.16.22.722, 72.16.22.723, 72.16.22.724, 72.16.22.725, 72.16.22.738, 72.16.22.739 ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმა; 2019; **ბრძანების № 20191152**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ურიდიას ქ№18, ს/კ 01.12.13.091.011; II კლასი; 2018; **ბრძანების № 4307688**

- სამედიცინო ცენტრი ქ.თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ№38, ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინი, განხორციელებული; 2018
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. აგარაკებში, II კლასი; 2018;
- განაშენიანების რეგულირების გეგმა ქ.ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის მიმდებარედ; 2018
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში,
- ურიდიას ქ№18, ს/კ 01.12.13.091.011; II კლასი; 2017; **ბრძანების № 3141649**
- საოფისე შენობა ქ.თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ№38, ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინი; 2017
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ.ტიმოთესუბანში, II კლასი; 2017
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, მრევლიშვილის ქუჩა, ს/კ 01.17.02.006.044; II კლასი; 2017; **ბრძანების № 3274622**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, გრ.აფშინაშვილის ქ№4, ს/კ 01.17.14.003.154; II კლასი; 2017; **ბრძანების № 3182953**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ხევსურეთის ქ№6, ს/კ 01.12.12.030.005; II კლასი; 2017; **ბრძანების № 3516227**
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, სამრეწველოს დასახლება №1; ს/კ 01.17.11.028.017; III კლასი; 2016; **ბრძანების № 2437529**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ს/კ 01.10.11.001.059; II კლასი; 2016; **ბრძანების № 2797887**
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ცინცაძის ქ№13, ს/კ 01.12.13.019.038; II კლასი; 2016; **ბრძანების № 2721573**
- სილამაზის სალონი ქ.თბილისში, ლეონიძის ქ№8, ს/კ 01.15.05.013.004.01.503; ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინი, 2016; **ბრძანების № 2582717**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, მეგობრობის ქ №2/5, ს/კ 01.17.14.003.443; II კლასი; 2015; **ბრძანების № 1777364**
ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. ზურგოვანში, ს/კ 01.42.14.005.320; II კლასი; 2014; **ბრძანების № 1513281**
- სასტუმრო ქ.თბილისში, გერგეთის შესახვევი №3, ს/კ 01.15.05.070.052; IV კლასი; 2014; **ბრძანების № 1254610**
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, სამრეწველოს დასახლება №1; ს/კ 01.17.11.028.015; II კლასი; 2014; **ბრძანების № 1651078**
- ავტოსერვისი ქ.თბილისში, ქსნის ქუჩის მიმდებარედ, ს/კ 01.11.19.007.022; III კლასი; 2012; **ბრძანების № 573657**